საქართველოს მთავრობის

დადგენილება №335

2024 წლის 7 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 მაისის №257 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/05/2022, 300160070.10.003.023468) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის:

1. მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბრენდისა და ვარიანტის სახელები (გარდა ქვედა უმცირეს ზედაპირზე განლაგების შემთხვევისა) უნდა განლაგდეს იმ ზედაპირის ცენტრში, რომელზეც იბეჭდება მათი წარწერა და როცა იბეჭდება იმ გვერდზე, რომელზეც განთავსებულია სამედიცინო გაფრთხილება, მათი წარწერის ორიენტაცია უნდა იყოს ისეთივე, როგორიცაა სამედიცინო გაფრთხილების წარწერები;“.

2. მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) განლაგებულია ლატერალურ (გვერდითა) ზედაპირზე (მიკვლევადობის ნიშანი – ლატერალურ (გვერდითა) ან ქვედა უმცირეს ზედაპირზე) მხოლოდ ერთხელ, მართკუთხა ფორმით, არ ფარავს ტექნიკური რეგლამენტით მოთხოვნილ რაიმე წარწერას ან ნიშანს და არ იკავებს ლატერალური (გვერდითა)/ქვედა უმცირესი ზედაპირის 30%-ზე მეტს;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**